განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 24.04.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 29.05.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	2038551028
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე კიკალიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს. პროგრამა წარმოდგენილია რეაკრედიტაციისთვის.
პროგრამის მიზანი მოიცავს სტუდენტებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას, რაც წარმოადგნეს მათ სასწავლო პროცესსა და სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრაციის წინაპირობას.
პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა ორი სემესტრია და მოცავს 60 ECTS კრედიტს.
რეაკრედიტააცისთვის განახლებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სასწავლო კურსებს. განახლდა არსებული კურსები, შემუშავდა ახალი კურსები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა განახლებული სტრუქტურა.
პროგრამა მოიცავს მხოლოდ სავალდებულო სტატუსის მქონე კურსებს, რომელთა მოცულობა არაერთგვაროვანია. პირველ სემესტრში სტუდენტი გადის ენის სამეტყველო უნარ-ჩვევების განმავითარებელ კურსებს, ხოლო მეორე სემესტრში პრაქტკულ კურსებს. ენის სამეტყველეო უნარ-ჩვევების განმავითარებელ კურსს ეთმობა ყველაზე მეტი კრედიტი (20 კრედიტი).
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააკრედიტაციო ვადის ფარგლებში პროგრამაზე ჩარიცხულია მხოლოდ ერთი სტუდენტი. აღნიშნულმა სტუდენტმა წარმატებით დაამთავრა პროგრამა და შესაბამისად, პროგრამას ყავს მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, აღნიშნულმა სტუდენტმა სწავლა არ გააგრძელა საბაკალავრო საფეხურზე და უნივერსიტეტმა მასთან კავშირი ვერ შეინარჩუნა. აქედან გამომდინარე, რეაკრედატაციისთვის წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში არ იკვეთება კურსდამთავრებულის ჩართულობა და პროგრამაში განხორციელბული ცვლილებები ეყრდნობა მარეგულირებელ დოკუმენტებს, მათ შორის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივ მახასიათებელსა და პარტნიორი უნივერსიტეტის - სსიპ - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური შეფასება, კომუნიკაციების თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აკრედიტაციის ექსპერთა ჯგუფმა განხორციელდა 2020 წლის 24 აპრილს.

უნივერსიტეტში სამუშაო პროცესი დატვირთული სამუშაო დღის რეჟიმში წარიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხელს გვიწყობდნენ მუშაობაში. დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა და მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სამი სტანდარდტის მოთხოვნებთან, ორთან კი მეტწილად შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - ***პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა.*** პროგრამით გათალისწინებული კურსების შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით, პროგრამა ვერ უზურნველყოფს სტუდენტის მიერ სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლას, ამ პროცესზე დაკვირვებასა და სწავლის შედეგების შეფასებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიზანი ამოღებულ უნდა იქნას პროგრამის მიზნებიდან.

  - პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ცდება წინამდებარე პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს.

    მაგალითად:

    ცოდნა:

    „ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (**პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ**.) გაცნობა.“ - ენობრივი ნაირსახეობის შესწავლა არის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კომპეტენცია.

    უნარები:

    „საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა **ტიპის ტექსტების რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი** „ - ტექსტის რედაქტირება და ანოტირება მაღალ დონეზე ენის ფლობას მოითხოვს.

„პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი“ - გაუგებარია რომელ პროფესიულ სფეროში შეიძლება მოხდეს ადაპტაცია, ჯერ საბაკალავრო საფეხურზე არ არის სტუდენტი.

აუცილებელია, შედეგებისა და კომპეტენციების სტანდარტით განსაზღვრული სფოერობის მიხედვით განაწილება და საფეხურის შესაბამისად გაწერა, ისე რომ ნათლად იკვეთებოდეს რას მიაღწევს სტუდენტი.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, გათვალისწინებული უნდა იყოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 473-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.“
- კურსების სილაბუსების მიხედვით ყველა კურსის სწავლის შედეგების ნაწილში ცოდნის სფეროში მოცემული მისაღწევი სწავლის შედეგები იდენტურია.

  ყველა კურსისთვის ცალკეულად განისაზღვროს ის სწავლის შედეგები, რომელიც კონკრეტული კურსის მიზნების რელევანტური იქნება;
- პროგრამის მიხედვით ენის შესწავლა B2 დონეზეა დაგეგმილი, რაც ენის შესწავლას „ზღვრულ განვითარებულ“ დონეზე გულისხმობს. პროგრამის სწავლის შედეგი - **საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა** კი, არ შეესაბამება ენობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ენის შესწავლის ზემოაღნიშნულ დონეს.

  პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან;
- კურიკულუმის მიხედვით განსაზღვრულია ასევე კომპეტენციები, რომლებიც ცდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

მისაღწევ სწავლის შედეგებს. მაგ: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედევრების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“.

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ სასწავლო კურსებში, წარმოდგენილი კურსების სილაბუსების გათვალისიწნებით, ფოლკლორული შედევრების შესწავლა არც არის დაგეგმილი.

პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებიდან ამოღებული უნდა იყოს შემდეგი სწავლის შედეგი: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედევრების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“.

- კურსებში **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1 და 2** - სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ნინო შარაშენიძის სახელმძღვანელო „მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაცისათვის“. 20 კრედიტის მოცულობით ოთხი კურსის ფარგლებში ძირითად ლიტერატურად ერთი და იგივე სახელმძღვანელოს გამოყენება ვერ უზრუნველყოფს კურსის შესაბამის შედეგს.

  პროგრამა უნდა გამდიდრეს ძირითად და დამხმარე თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით.
- კურსების სილაბუსებში არ არის მოცემული შეფასების რუბრიკები, რის გამოც არ ჩანს ცალკეული კურსის სპეციფიკა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კურსისთვის გაწერილი იყოს კურსის სწავლის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკა, რითაც დადგინდება რამდენად შესაბამისობაშია შეფასება კურსის მიზნებთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის მიზნების მეორე პუნქტი - ***პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების***

შექმნა და გაგება - ფორმულირებულია ზოგადად. ვინაიდან პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება, სასურველია, პროგრამის მიზნები აღწერდეს კონკრეტულ ინდიკატორებს და გაზომვად ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, სასურველია, მიზნებში კონკრეტულად განისაზღვროს რა ტიპის ტექსტების შექმნასა და გაგებას შეძლებს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

- კურიკულუმში ვკითხულობთ - „პროგრამაზე მიღების წინაპირობაა წარმატებით გავლილი გამოცდა ზოგად უნარებში მშობლიურ ენაზე (კვოტირების პირობებში, შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებით)“. თვითშეფასებაში ვკითხულობთ - „აბიტურიენტები, რომლებიც მშობლიური ენის ტესტში მინიმალურ ზღვარს გადალახავენ“. სასურველია, ორივე დოკუმენტში ინფორმაცია იყოს ერთნაირად ფორმულირებული.
- პროგრამის ფარგლებში 25 კრედიტი დათმობილი აქვს გრამატიკის შესწავლას. კურიკულუმის მიხედვით, ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანი სტუდენტების კულტურულ გარემოში ინტეგრაციაა. აღნიშნული კომპეტენციების განმავითარებელი თემები კურსებში მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი, რაც ეჭვქვეშ აყენებს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითრების შესაძელებლობებს. სასურველია, გრამატიკის კურსების შემცირება და შემცირებული კრედიტების ხარჯზე პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების შეთავაზება, რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის მისაღწევ შედეგებს.
- ორნაწილიანი კურსების ორივე ნაწილის (1 და 2) მიზანი არის ერთნაირად ფორმულირებული, რაც ხშირ შემთხვევაში გაუგებარს ხდის, რა კონკრეტული მიზანი არის დასახული კონკრეტული სემესტრისთვის განკუთვნილ სილაბუსში და რა სპეციფიურ მიზანს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა კურსის ფარგლებში. თითოეული კურსისთვის განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული კურსის სპეციფიური მიზანი.
- კურსების **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2** სემესტრულ თემატიკაში, თითოეული კვირის თემატიკად გაწერილია ორი თემა. აქედან ერთი არის სომხურენოვანი და მეორე აზერბაიჯანულენოვანი

სტუდენტებისთვის. აღნიშნულ კურსში სომხურენოვანი ლიტერატურაა სავალდებულო ლიტერატურად მითითებული. პროგრამაში მონაწლე პერსონალი არ ფლობს უმცირესობის ენებს, შესაბამისად გაუგებარია ამ კურსის წაკითხვა როგორ მოხდება. სახსრების ოპტიმიზაციის მიზნით სასურველია ერთი დანართის ფარგლებში მოექცეს ორივე კურსი და გაწერილი იყოს კურსებისთვის ერთი თემატიკა, სადაც კურსის წამყვანს შესაძლებლობა ექნება შედარების სახით განიხილოს გარკვეული სპეციფიური ენობრივი განსხვავებები.

- სასწავლო კურსში - **ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა** - სავალდებულო ლიტერატურად მითითბულია შემდეგი სახელმძღვანელო: დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2008. აღნიშნული სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც ენას უკვე მაღალ დონეზე ფლობენ და შეუძლიათ მართლწერის საკითების თეორიული შესწავლა. შესაბამისად, კურსის ფარგლებში პროგრამის მიზნების შესაბამისი დონის სახელმძღვანელო ან ადაპტირებული მასალა უნდა იყოს გამოყენებული;
- სტუდენტებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ოდენობით ფაკულტეტებს შორის განსხვავებული სიტუაციაა და ზოგიერთ ფაკულტეტზე მეტად არის სტუდენტების აქტიური ჩართლობა პროექტებში. სასურველია, მეტი კონტაქტი და კოორდინაცია იყოს თეორიულ და პრაქტიკულ ფაკულტეტებს შორის.
- სასურველია ასევე საუნივერსიტეტო პროგრამების დასაქმების ბაზართან მეტი ბმა თეორიული ფაკულტეტების შემთხვევაში. სასურველია, მოეწყოს პრაქტიკული ატივობები თეორიული მიმართულების სტუდენტებისთვისაც, რაც შემდგომში მათი პროფესიული განხრით ჩართვას უზრუნველყოფს.
- სასურველია, მეტად იყოს გათვალისწინებული სტუდენტების მიერ კურსების შეფასების სისტემაში ასახული შენიშვნები, რაც შეეხებოდა მაგალითად ინგლისური ენის სწავლების მეთდოლოგიას (ისინი მიიჩნევენ, რომ კურსების სწავლების მეთოდები მოძველებულია).

- სასუვრელია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა განთავსებული იყოს ელექტრონულად შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.
- სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ ასევე საქართველოში არსებული საერთაშორისო ენების შემსწავლელმა ცენტრმა.
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი შესაძლებელს უნდა ხდიდეს გაანალიზდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასურველია თვითშეფასების დოკუმენტი იყოს უფრო მეტად ინფორმაციული, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით და მოყვანილი იქნება რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, ვინც დაამთავრა არაქართულენოვანი სახელმწიფო სკოლა, მისცენ შესაძლებლობა, ერთი წლის მანძილზე ისწავლოს ქართული იმ დონეზე, რომ შეძლოს სასურველ პროგრამაზე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება. მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა შეიცავს ინტერკულტურული სწავლის კომპონენტს, რაც უზუნრველყოფს მათ მიერ ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემას, მათ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. მოცემული მიზნები რამდენიმე ძირითად მიმართულებად არის ჩამოყალიბებული: • ენობრივი კომპეტენციების განვითარება; • სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და მისი ხანგრძლოვობა არის 1 წელი, რაც საკმარისია საშუალო და მაღალი ენობრივი ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის პროგრამის მიზნის მისაღწევად. სასურველია, პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი რჩევები: როგორც პროგრამის აღწერიდან, ასევე ინტერვიუებიდან ნათლად იკვეთება, რომ პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე

სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება და მათში სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო ცნობეირების ამაღლება, ენობრივი საშუალებები ამ მიზნების მიღწევის ინსტრუმენტებია. გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნების მიღწევა შესაძლებელია 60 კრედიტზე გადანაწილებული სასწავლო კურსების ფარგლებში, რომლის ათვისებაც განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში. პროგრამის მოცულობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, კურსდამთავრებულმა შეძლოს ნებისმიერი ტიპის ტექსტების შექმნა და გააზრება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ასახავდეს კონკრეტულ ინდიკატორებსა და გაზომვად ენობრივ კომპეტენციებს. მაგალითად, პროგრამის მიზნების მეორე პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება. აღნიშნული ფორმულირებიდან გამომდონარე, ბუნდოვანი რჩება კონკრეტულად რა ტიპის ტექსტების შექმნასა და გაგებას შეძლებს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზანი უნდა აღწერდეს მხოლოდ იმ მისაღწევ შედეგებს, რომელთა განვითარება და შეფასებაც ხდება პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა. ცხადია, პროგრამაზე სწავლის გამოცდილება სტუდენტს დაეხმარება სხვა ენების შესწავლაში, თუმცა ეს პროგრამაზე დასრულების შემდეგ ხორციელდება და ვერ მოხდება დამოუკიდებლად სწავლის ამ პროცესზე დაკვირვება და შედეგების შეფასება. პროგრამის მიზნების უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობა დასტურდება კულტურათა შორის დიალოგის პროცესში პროგრამის წვლილით. კულტურათა შორისი დიალოგი უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ მისიას წარმოადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია;

- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - ***პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა.*** პროგრამით გათალისწინებული კურსების შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით, პროგრამა ვერ უზურნველყოფს სტუდენტის მიერ სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლას, ამ პროცესზე დაკვირვებასა და სწავლის შედეგების შეფასებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიზანი ამოღებულ უნდა იქნას პროგრამის მიზნებიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მიზნების მეორე პუნქტი - ***პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება*** - ფორმულირებულია ზოგადად. ვინაიდან პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება, სასურველია, პროგრამის მიზნები აღწერდეს კონკრეტულ ინდიკატორებს და გაზომვად ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, სასურველია, მიზნებში კონკრეტულად განისაზღვროს რა ტიპის ტექსტების შექმნასა და გაგებას შეძლებს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგებში გაწერილია კურსდამთავრებულისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. რაც მოიცავს პროგრამის ფარგლებში ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ენის ფლობის მიღწევას B2 დონეზე, რაც საკმარისია საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. გარდა ამისა, პროგრამაში დამატებით ქვესფეროებად წარმოდგენილია სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ცდება პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს.

ცოდნა:

„ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა **(პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ**.) გაცნობა.“ - ენობრივი ნაირსახეობის შესწავლა არის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კომპეტენცია.

უნარები:

„საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა **ტიპის ტექსტების რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი** „ - ტექსტის რედაქტირება და ანოტირება მაღალ დონეზე ენის - მინიმუმ C1 დონეზე ფლობას მოითხოვს, რაც ცდება აღნიშNული პროგრამის მისაღწევ შედეგებს.

„პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი“ - გაუგებარია რომელ პროფესიულ სფეროში შეიძლება მოხდეს ადაპტაცია, ჯერ საბაკალავრო საფეხურზე არ არის სტუდენტი.

პროგრამის შედეგების შეფასებაში კომპეტენციები არის შემდგომში გამსხვილებული. აუცილებელია, შედეგებისა და კომპეტენციების სტანდარტით განსაზღვრულ ოდენობაზე მორგება და საფეხურის შესაბამისად გაწერა, ისე რომ დაინტერესებული პირისთვისაც გასაგები იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ცდება წინამდებარე პროგრამის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. მაგალითად: **ცოდნა:** „ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა **(პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.**) გაცნობა.“ - ენობრივი ნაირსახეობის შესწავლა არის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კომპეტენცია. **უნარები:** „საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა **ტიპის ტექსტების რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი** „ - ტექსტის რედაქტირება და ანოტირება მაღალ დონეზე ენის ფლობას მოითხოვს. **„პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი“** - გაუგებარია რომელ პროფესიულ სფეროში შეიძლება მოხდეს ადაპტაცია, ჯერ საბაკალავრო საფეხურზე არ არის სტუდენტი. აუცილებელია, შედეგებისა და კომპეტენციების სტანდარტით განსაზღვრული სფოერობის მიხედვით განაწილება და საფეხურის შესაბამისად გაწერა, ისე რომ ნათლად იკვეთებოდეს რას მიაღწევს სტუდენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაზე დაშვება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, არის თვალსაჩინო, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარება აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტებისთვის. აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტები ტესტებს აბარებენ მშობლიურ ენაში. ○ გარდა ამისა, კურიკულუმში ვკითხულობთ - „პროგრამაზე მიღების წინაპირობაა წარმატებით გავლილი გამოცდა ზოგად უნარებში მშობლიურ ენაზე (კვოტირების პირობებში, შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებით)“. თვითშეფასებაში ვკითხულობთ - „აბიტურიენტები, რომლებიც მშობლიური ენის ტესტში მინიმალურ ზღვარს გადალახავენ“. სასურველია ორივე დოკუმენტში ინფორმაცია იყოს ერთნაირად მოცემული და ამომწურავ, სრულ სურათს იძლეოდეს. ○ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: (მუხლი 473. პუნქტი მე-5) აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე,

ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.“ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს აღნიშნული გარემოება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი და სხვა საინფორმაციო საშუალებები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 473-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.“
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კურიკულუმში ვკითხულობთ - „პროგრამაზე მიღების წინაპირობაა წარმატებით გავლილი გამოცდა ზოგად უნარებში მშობლიურ ენაზე (კვოტირების პირობებში, შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებით)“. თვითშეფასებაში ვკითხულობთ - „აბიტურიენტები, რომლებიც მშობლიური ენის ტესტში მინიმალურ ზღვარს გადალახავენ“. სასურველია, ორივე დოკუმენტში ინფორმაცია იყოს ერთნაირად ფორმულირებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქათულ ენამი მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისთ დადგენილი წესის შესაბამისად და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით.

ბრძანების საფუძველზე პროგრამის შედგენა და პროგრამის შემუშავებაზე მუშაობა დაევალა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: **ანანო სამსონაძე**(უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი-მ.შ.), **ნატო გენგიური** (სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი), **მანანა ბერიკაშვილი** (პროგრამის ხელმძღვანელი), **თამარ ვეფხვაძე** (უნივერსიტეტის კონსულტანტი ავტორიზაცია აკრედიტაციის საკითხებში), **ქეთევან ელაშვილი** (პროგრამაში ჩართული პედაგოგი).

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებაში გათვალისწინებულია დარგობრივი მიახასიათებელი, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამის მისაღწევი მიზანი ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის მიხედვით B2 დონეზე ენის დაუფლებაა.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება ორი სემესტრის მანძილზე. პირველი სემესტრის საგნები წარმოადგენს მეორე სემესტრის კურსების წინაპირობას. კურსები ლოგიკური თანმიმდევრობითაა დაწყობილი.

ორივე სემესტრში ისწავლება კურსი: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა 1) – 20 კრედიტის ოდენობით და ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა 2) – 15 კრედიტის ოდენობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი კომპეტენციების ინტეგრირებულად სწავლება ენის სწავლებაში თანამედროვე მეთდოლოგიით აპრობირებული პროცესია.

ამასთან პროგრამის ფარგლებში ისწავლება „ქართული ენის გრამატიკა“ ორივე სემესტრში - 10 კრედიტის ოდენობით და „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები“ ორივე სემესტრში 10 კრედიტის ოდენობით. გარდა ამისა სტუდენტები მეორე სემესტრში სწავლობენ კურსს: ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა - 5 კრედიტის ოდენობით. ორი კურსის სახელწოდებაა კომუნიკაციური გრამატიკა, თუმცა „ქართული ენის გრამატიკის კურსებიც“ და „ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკის“ კურსებიც გრამატიკის სწავლებას მოიცავს. პროგრამის ერთ-ერთი მიზანი სტუდენტების უცხო კულტურულ გარემოში ინტეგრაციაა. გრამატიკის კურსების ნაცვლად ინტეგრაციასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების შეთავაზება მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საკონტაქტო საათები უზრუნველყოფს ენის დაუფლებას პროგრამის განსაზღვრულ დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების თამატური ჯგუფის მუშაობის ოქმი. 21.11.2019
- „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ და სილაბუსები
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის ფარგლებში 25 კრედიტი დათმობილი აქვს გრამატიკის შესწავლას. კურიკულუმის მიხედვით, ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანი სტუდენტების კულტურულ გარემოში ინტეგრაციაა. აღნიშნული კომპეტენციების განმავითარებელი თემები კურსებში მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი, რაც ეჭვქვეშ აყენებს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითრების შესაძელებლობებს. სასურველია, გრამატიკის კურსების შემცირება და შემცირებული კრედიტების ხარჯზე პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების შეთავაზება, რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის მისაღწევ შედეგებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში მოცემული ყველა კურსი სავალდებულოა. კურსებში განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კრედიტის მოცულობა შესაბამისობაშია თითოეული კურსის მისაღწევ შედეგთან.

კურსები ძირითადად ორნაწილიანია, პირველი და მეორე სემესტრისთვის. კურსების ორივე სემესტრის ნაწილში (1 და 2) მიზანი არის ერთნაირად ფორმულირებული, რაც ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანს ხდის, რა კონკრეტული მიზანი არის დასახული კონკრეტული სემესტრისთვის განკუთვნილ სილაბუსში და რა სპეციფიურ მიზანს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა კურსის ფარგლებში.

კურსების შედეგები და კომპეტენციები ყველა სასწავლო კურსისთვის იდენტურადაა ფორმულირებული. მაგალითად ცოდნის ნაწილი, რომელიც სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში გვხვდება:

- *„საბაზისო ცოდნის მიღება ქართული ენის თაობაზე; წარმოდგენა ზოგადად ქართულ ენაზე და მის მნიშვნელობაზე; ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა.“* - ქართულ ენაზე საბაზისო ცოდნის მიღება რატომ არის კურსების შედეგი ორივე სემესტრში, როდესაც ქართული ენის შესწავლა B 2 დონეზეა დაგეგმილი, რაც ენის შესწავლას „ზღვრულ განვითარებულ“ დონეზე გულისხმობს.
- *„ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედევრების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“* - სასწავლო კურსებში ფოლკლორული შედევრების შესწავლა არ არის დაგეგმილი.
- *„ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა“* - ბუნდოვანია, რა იგულისხმება პოლიტიკურ ფონში და რატომ არის ეს პროგრამის მისაღწევი შედეგი, ან რატომ არის ენობრივი ნასესხობების შესწავლა კურსების შედეგი. ეს უფრო მეტად ფილოლოგიის პროგრამის კომპეტენციაა. სტუდენტმა პრაქტიკული სიტუაციური უნარები და კომპეტენციები უნდა შეიძინოს, რომელიც გაწერილია ენობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოში.

კურსებში **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1 და 2** - სავალდებულო ლიტერატურად არის გამოყენებული სახელმძღვანელო: მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაცისათვის, ნინო შარაშენიძე. 4 კურსის ფარგლებში, რომელიც მოიცავს 20 კრედიტს ერთიდაიგივე სახელმძღვანელოს ძირითად ლიტერატურად გამოყენება ვერ უზრუნველყოფს კურსის შესაბამის შედეგს. ორ სემესტრიან კურსში: **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2** სემესტრულ თემატიკაში, თითოეული კვირის თემატიკად გაწერილია ორი თემა. აქედან ერთი არის სომხურენოვანი და მეორე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის. აღნიშნულ კურსში სომხურენოვანი ლიტერატურაა სავალდებულო ლიტერატურად მითითებული. პროგრამაში მონაწლე პერსონალი არ ფლობს უმცირესობის ენებს, შესაბამისად გაუგებარია ამ კურსის წაკითხვა როგორ მოხდება. სახსრების ოპტიმიზაციის მიზნით სასურველია ერთი დანართის ფარგლებში მოექცეს ორივე კურსი და გაწერილი იყოს კურსებისთვის ერთი თემატიკა, სადაც კურსის წამყვანს შესაძლებლობა ექნება შედარების სახით განიხილოს გარკვეული სპეციფიური ენობრივი განსხვავებები. სასწავლო კურსში - **ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა** - სავალდებულო ლიტერატურად მითითბულია შემდეგი სახელმძღვანელო: დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2008. აღნიშნული სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც ენას უკვე მაღალ დონეზე ფლობენ და შეუძლიათ მართლწერის საკითების თეორიული შესწავლა. შესაბამისად, კურსის ფარგლებში პროგრამის მიზნების შესაბამისი დონის სახელმძღვანელო ან ადაპტირებული მასალა უნდა იყოს გამოყენებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის სილაბუსები • ინტერვიუები
რეკომენდაციები: • კურსების სილაბუსების მიხედვით ყველა კურსის სწავლის შედეგების ნაწილში ცოდნის სფეროში მოცემული მისაღწევი სწავლის შედეგები იდენტურია. ყველა კურსისთვის ცალკეულად განისაზღვროს ის სწავლის შედეგები, რომელიც კონკრეტული კურსის მიზნების რელევანტური იქნება; • პროგრამის მიხედვით ენის შესწავლა B 2 დონეზეა დაგეგმილი, რაც ენის შესწავლას „ზღვრულ განვითარებულ“ დონეზე გულისხმობს. პროგრამის სწავლის შედეგი - **საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა** კი, არ შეესაბამება ენობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ენის შესწავლის ზემოაღნიშნულ დონეს.

პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან;

- კურიკულუმის მიხედვით განსაზღვრულია ასევე კომპეტენციები, რომლებიც ცდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს. . მაგ: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედევრების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“.

  გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ სასწავლო კურსებში ფოლკლორული შედევრების შესწავლა არც არის დაგეგმილი.

  პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებიდან ამოღებული უნდა იყოს შემდეგი სწავლის შედეგი: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედევრების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“.

- კურსებში **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1 და 2** - სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ნინო შარაშენიძის სახელმძღვანელო „მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის“. 20 კრედიტის მოცულობით ოთხი კურსის ფარგლებში ძირითად ლიტერატურად ერთი და იგივე სახელმძღვანელოს გამოყენება ვერ უზრუნველყოფს კურსის შესაბამის შედეგს.

  პროგრამა უნდა გამდიდრეს ძირითად და დამხმარე თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ორნაწილიანი კურსების ორივე ნაწილის (1 და 2) მიზანი არის ერთნაირად ფორმულირებული, რაც ხშირ შემთხვევაში გაუგებარს ხდის, რა კონკრეტული მიზანი არის დასახული კონკრეტული სემესტრისთვის განკუთვნილ სილაბუსში და რა სპეციფიურ მიზანს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა კურსის ფარგლებში. თითოეული კურსისთვის განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული კურსის სპეციფიური მიზანი.

კურსების **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2** სემესტრულ თემატიკაში, თითოეული კვირის თემატიკად გაწერილია ორი თემა. აქედან ერთი არის სომხურენოვანი

და მეორე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის. აღნიშნულ კურსში სომხურენოვანი ლიტერატურაა სავალდებულო ლიტერატურად მითითებული. პროგრამაში მონაწლე პერსონალი არ ფლობს უმცირესობის ენებს, შესაბამისად გაუგებარია ამ კურსის წაკითხვა როგორ მოხდება. სახსრების ოპტიმიზაციის მიზნით სასურველია ერთი დანართის ფარგლებში მოექცეს ორივე კურსი და გაწერილი იყოს კურსებისთვის ერთი თემატიკა, სადაც კურსის წამყვანს შესაძლებლობა ექნება შედარების სახით განიხილოს გარკვეული სპეციფიური ენობრივი განსხვავებები. სასწავლო კურსში - **ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა** - სავალდებულო ლიტერატურად მითითბულია შემდეგი სახელმძღვანელო: დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2008. აღნიშნული სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც ენას უკვე მაღალ დონეზე ფლობენ და შეუძლიათ მართლწერის საკითების თეორიული შესწავლა. შესაბამისად, კურსის ფარგლებში პროგრამის მიზნების შესაბამისი დონის სახელმძღვანელო ან ადაპტირებული მასალა უნდა იყოს გამოყენებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო კონფიერენციებში, ფესტივალებში, გამოფენებში. მათ შესაძლებლობა აქვთ იყვნენ აღნიშნული ღონისძიების ასისტენტები ან ორგანიზატორები, რაც უვითარებს მათ შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკულ უნარებს. სტუდენტების ინტერვიუდანაც გამოჩნდა, რომ მიმდინარე სტუდენტები არიან აქტიურად ჩართული სხვადასხვა ღნისძიებებში, ამჟამად გეგმავენ ელექტრონული ჟურნალის გაკეთბას. თვითონ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ამოქმედების შეთხვევაში უნივერსიტეტის სპეციფიკა კარგ გარემოს ქმნის სამომავლოდ სტუდენტების ინტეგრაციისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ღონისძიებები 2013-2019 წლებში; ○ საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებების, გამოფენების, ფესტივალების პროგრამები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ყველა სასწავლო კურსში მითითებულია სხვადასხვა სწავლების მეთოდები: აუდიალური მეთოდი; გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები; ევრისტიკული მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative); თანამშრომლობითი სწავლება; შემთხვევის ანალიზი; მოდელირებული სიტუაციების განხილვა; წიგნზე მუშაობის მეთოდი; დისკუსია, დებატები. აღნიშნული მეთოდები აჩვენებს რომ ცალკეული კურსების ფარგლებში გააზრებულია სასწავლო პროცესი, რომელიც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადად პრაქტიკულ სწავლებას გულისხმობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასების სისტემა დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად და განაწილებულია 100 ქულაზე. შუალედური შეფასებების კომპონენტების ზღვარი არ აღემატება 60%-ს. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები. პედაგოგს ეძლევა საშუალება პროგრამისა და კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოახდინოს შუალედური შეფასებების საჭიროებისამებრ რანჟირება. აქედან შუალედური შეფასება უნდა განისაზღვროს 20%-ით.

სტუდენტებს საშუალება აქვთ გაასაჩივრონ მიღებული ქულა. სტუდენტებთან ინტერვიუდანაც გამოჩნდა, რომ მათ გასაჩივრების შესაძლებლობა გამოუყენებიათ.

კონკრეტულად ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემთხვევაში შეფასების სისტემა ყველა კურსის შემთხვევაში აღნიშნული წესის მიხედვითაა გაწერილი. ამასთან შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასებების წილიც ყველა კურსში ერთნაირადაა განსაზღვრული და ერთნაირად გაწერილი. მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

დასწრება - 10 ქულა
დავალების შესრულება - 10 ქულა;
აქტიურობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე - 20 ქულა;
შუალედური შეფასება (სემესტრის განმავლობაში - ერთხელ) – 20;
საბოლოო გამოცდა - 40 ქულა.

შეფასების სისტემაში არ არის ინდივიდუალურად გაწერილი შეფასების რუბრიკები, არ არის გათვალისწინებული ცალკეული კურსების სპეციფიკა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კურსისთვის გაწერილი იყოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა, რითაც დადგინდება რამდენად შესაბამისობაშია შეფასება კურსის მიზნებთან.

სტუდენტები შეფასებას იღებენ ელექტრონული სისტემის საშუალებით: tafu.ini.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 სექტემბერს (დადგენილება N16)
- საგამოცდო პროცესების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ 1.09.2017;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

კურსების სილაბუსებში არ არის მოცემული შეფასების რუბრიკები, რის გამოც არ ჩანს ცალკეული კურსის სპეციფიკა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კურსისთვის გაწერილი იყოს კურსის სწავლის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკა, რითაც დადგინდება რამდენად შესაბამისობაშია შეფასება კურსის მიზნებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

სტუდენტების სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ინფორმირებაზე და ადმინისტრაციული საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩართულია ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

ფუნქციონირებს მართვის ელექტრონული სისტემა tafu.ini.ge სადაც ასევე იღებენ სტუდენტები ინფორმაციას სასწავლო კუსებისა და მათი შეფასებების შესახებ, ღებულობენ ლექტორების მიერ ატვირთულ მასალებს.

ინტერვიუებიდან და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ სტუდენტები მუდმივად იღებენ მონაწილეობას კონფერენციებში და ფესტივალებში, სხვადასხვა ღნისძიებებში. ისინი დამოუკიდებლადაც გეგმავენ საუნივერსიტეტო აქტივობებს. უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურადაა ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში.

სტუდენტები იღებენ გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკს საჭიროების შემთხვევაში.

ინტერვიუებიდან ასევე გამოიკვეთა მათი შეთავაზებების საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის: სტუდენტებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ოდენობით ფაკულტეტებს შორის განსხვავებული სიტუაციაა და ზოგიერთ ფაკულტეტზე მეტად არის სტუდენტების აქტიური ჩართულობა პროექტებში. სტუდენტების სურვილია მეტი კონტაქტი და კოორდინაცია იყოს თეორიულ და პრაქტიკულ ფაკულტეტებს შორის.

ისინი ასევე განიცდიან საუნივერსიტეტო პროგრამების დასაქმების ბაზართან ბმის ნაკლებობას. სურთ მოეწყოს პრაქტიკული ატივობები თეორიული მიმართულების სტუდენტებისთვისაც, რაც შემდგომში მათი პროფესიული განხრით ჩართვას უზრუნველყოფს.

ასევე სურთ მეტად იყოს გათვალისწინებული მათ მიერ კურსების შეფასების სისტემაში ასახული შენიშვნები, რაც შეეხებოდა მაგალითად ინგლისური ენის სწავლების მეთდოლოგიას (ისინი მიიჩნევენ, რომ კურსების სწავლების მეთდები მოძველებულია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 სექტემბერს (დადგენილება N16)
- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი 20.11.2017;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა tafu.ini.ge;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული მასალები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტუდენტებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ოდენობით ფაკულტეტებს შორის განსხვავებული სიტუაციაა და ზოგიერთ ფაკულტეტზე მეტად არის სტუდენტების აქტიური ჩართლობა პროექტებში. სასურველია, მეტი კონტაქტი და კოორდინაცია იყოს თეორიულ და პრაქტიკულ ფაკულტეტებს შორის. სასურველია ასევე საუნივერსიტეტო პროგრამების დასაქმების ბაზართან მეტი ბმა თეორიული ფაკულტეტების შემთხვევაში. სასურველია, მოეწყოს პრაქტიკული ატივობები თეორიული მიმართულების სტუდენტებისთვისაც, რაც შემდგომში მათი პროფესიული განხრით ჩართვას უზრუნველყოფს. სასურველია, მეტად იყოს გათვალისწინებული სტუდენტების მიერ კურსების შეფასების სისტემაში ასახული შენიშვნები, რაც შეეხებოდა მაგალითად ინგლისური ენის სწავლების მეთდოლოგიას (ისინი მიიჩნევენ, რომ კურსების სწავლების მეთოდები მოძველებულია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პირები - პროგრამის ხელმძღვანელი და მოწვეული პერსონალი განაწილებულები არიან სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული აკადმიუერი და მოწვეული პერსონალის განაწილების სქემის მიხედვით.

ამავე დებულებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები. აღნიშული რეგულაციები განსაზღვრავენ პროგრამაში ჩართული ზემოაღნიშნული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პერსონალი. მათ შორის 1 პროფესორი, 4 მოწვეული პერსონალი. აღნიშნული რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართბაში და უზურნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნივერსიტეტის ადმინსიტრიაცასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ უნივერსიტეტი აცნობეირებს პროგრამის სტრატეგიულ მნიშვნელობას როგორც უნიევრსიტეტისთვის, ასევე ქვეყნისთვის და სრულ მზაობას გამოთქვამს თუნდაც ერთი სტუდენტის შემთხვევაში, დააფინანსოს შესაბამისი მომსახურება.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, დგინდება, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული თბილისის ივანე ჯავახაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც გულისხმობს ადამინური რესურსით მხარდაჭერას, კერძოდ, ერთობლივად სააგნმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. მემორანდუმის ამ პირობების გათალისწინებით, პროგრამის შემუშავებასა და განხორცეილებაში ჩართულია თბილისის ივანე ჯავახაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოწვეული პერსონალი. აღნიშნული გარემოება შესაძლებელს ხდის პროგრამის შინაარსის მარეგულირებელ მოთხვნებთან შესაბამისობასა და მის განხორციელებას. ამდენად,

პროგრამის ხელმძღვანელის ვიწრო სპეციალიზაცია შეიძლება არ წარმაოდგენდეს ფაქტორს, რომელიც ნეგატიურად შეიძლება აისახოს პროგრამის ხარისხზე. სტუდენტების რეფლექსია მათი მხარდამჭერი სერვისებისა და შესაბამისი პერსონალის მომსახურების შესახებ ადასტურებს მათ კმაყოფილებას. კურსის შინაარსთან, მიმდინარე აქტივოებებთან და დავალებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით კურსის ხელმძღვანელებს - ლექტორებს განსაზღვრული აქვთ საათები ინდივიდუალური შეხვედრებისთვის. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მათ დიდი მხარდაჭერა აქვთ ექსტრაკურიკულარული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას. ისინი აყალიბებენ კლუბებს, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ღონისძიებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოწვეულ პერსონალს შორის არიან პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ადმინსიტრაციის წარმაოდგენლები, მათ შორის, ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასება; ○ სამუშაო აღწერილობები - CV-ები; ○ სახელოვნებო მეცნიერებების მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შესაფასებლად და შესაბამისი რეკომენდაციებისა და აქტივობების დასაგეგმად ფაკულტეტი იყენებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პერიოდულ გამოკითხვებს და პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმებს. შეფსების შედეგები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს ან თავად პერსონალს პერსონალურად. შედეგების ანალიზის შემდეგ ხდება პერსონალის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სწორედ აღნიშნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტი მათ შესაძლებლობას აძლევს ჩართულები იყვნენ საერთაშორისო პროექტებში, სიმპოზიუმებსა და კონკურსებში. პროფესიული განვითარების მიზნებით არაერთხელ განხორციელდა ვიზიტები ქვეყნის გარეთაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის შეფასების პოლიტიკა;

○ ფაკულტეტის საქმიანობის ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. ბაკალავრიატის სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა სახელმძღვანელო არ არის ელექტრონულად განთავსებული ბიბლიოთკის ვებგვერდზე, რაც ურთულებს მათ ძირითად და დამხმარე ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას. ინტერვიების შედეგად დგინდება, რომ პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო სახელმძღვანელობით აღჭურვას. გარდა ამისა, პროგრამის მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ თბილისის ივანე ჯავახაშვილს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ივანე

ჯავახაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებულ მემორანდუმში ვერ მოიძებნა შესაბამისი აღწერილობა, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ ვალდებულებას. ინტერვიუს მსვლელობისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს აღნიშნული თანამშრომლობის გადახედვა, ხორციელდება მემორანდუმში გარკვეული პირობების დაზუსტება და მოდიფიცირება. გათალისწინებულია ასევე საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის საკითხიც.

სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია საბიბლიოთკო რესურების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის დაწყებისას საორიენტაციო შეხვედრებზე, ინფორამცია ეგზავნებათ მეილის საშუალებით და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით.

პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერით, მონიტორით და სხვა აუცილებელი ინვენტარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასება;
- ინტერვიუები;
- მატერიალურ ტექნიკურ ბაზის აღრიცხვის დოკუმენტაცია.
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასუვრელია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა განთავსებული იყოს ელექტრონულად შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

,,ქართულ ენაში მომზადების საგანამნათლებლო პროგრამა“ სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ.

პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება.

ინტერვიუებისას უნივერსიტეტის ადმინსიტრაცია გამოხატავს მზაობას, პროგრამა აამოქმედოს თუნდაც ერთი სტუდენტის შემთხვევაში და საერთო ბიუჯეტიდან გამოყოს დამატებითი ხარჯები პროგრამის დასაფინანსებლად. მიუხედავად ასეთი მზაობისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომდგენლები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პროგრამა უნდა განახორციელოს იმ უნვერსიტეტმა, რომელსაც აქვს შესაბამისი ადამიანური, მატერიალური რესურსი და მის განხორციელების გამოცდილება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი, რომელმაც ჩააბარა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში და საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ჭირდება სახელმწიფო ენის შესწავლა, ე.წ. აუთსორსინგის წესით გაივლის მოსამზადებელ საფეხურს აღნიშნულ უნივერსიტეტში. როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა, შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით დაწყებულია მოლაპარაკებები სსიპ -ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასება ○ ინტერვიუები ○ ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

ხარისხის გასაზომად და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას. სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სტუდენტები სემესტრის ბოლოს აფასებენ ლექტორს, კურსს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და ხარისხის შეფასებასა და ინტერვენციების დანერგვას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსასხური შესაბამისი სპეციალისტების დახმარებითა და სპეციალურად შექმნილი რეგულაციების დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საკმაო რაოდენობის პროგრამას, მხოლოდ ერთი სამსასხურის მიერ განხორციელებული ხარისხის შეფასების პროცესი შეიძლება შრომატევადი აღმოჩნდეს, რაც აისახება განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნვეყოფის აქტივობებს - ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარებისთვის და წარუდგენს მას ხარისხის სამსახურს, რომელიც შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ცვლილებების შესახებ. აღნიშნული მიდგომით უზურნველყოფილი იქნება პროგრამის დანერგვისა და შეფასების პროცესის დეცენტრალიზება.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი არ ქონდა შიდა ხარისხის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტები. შესაბამისად, წინამდებარე დასკვნები ეყრდნობა უნივერსტიტეტის ვებგვერდის საშუალებით მოპოვებულ დოკუმენტებსა და ინტერვიუს შედეგებს. ნიშანდობლივია, რომ ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები ძირითადად 2017

წლით თარიღდება. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ არ მოხდა შიდა ხარისხის მექნიზმების გადახედვა განახლებული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესბამისობის დადგენისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ განახლებული სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ბევრი შეხვედრა მოეწყო და ცვლილებებიც შევიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებსა და წესებში, თუმცა ეს არ არის ასახული ვებგვერდზე. კერძოდ, ვებგვერდის საშუალებით არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი განახლებული დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ უკანასკნელ ცვლილებებს (მხედველობაში გვაქვს ვიზიტის დროისთვის უკვე განხორციელებულ ცვლილებები). ინტევიურებისას უნივერსიტეტმა წარმოადგინა შეხევდრების ოქმები, რომლებიც ასახავენ აკრედიტაციის განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნის დადგენილ რეგულაციებსა და წესებში ცვლილებების შეტანის ირგვლივ მსჯელობებსა და შესაბამის გადაწყვეტილებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ თვითშეფასება; ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, აღნიშნული პროგრამის შეფასება არ მოხდა დაინტერესებული მხარეების მიერ. სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ ასევე საერთაშორისო ენების შემსწავლელმა ცენტრებმაც. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი შესაძლებელს ხდის გაანალიზდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასურველია თვითშეფასების დოკუმენტი იყოს უფრო მეტად ინფორმაციული, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით და მოყვანილი იქნება რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასება ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ ასევე საქართველოში არსებული საერთაშორისო ენების შემსწავლელმა ცენტრმა. • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი შესაძლებელს უნდა ხდიდეს გაანალიზდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასურველია თვითშეფასების დოკუმენტი იყოს უფრო მეტად

ინფორმაციული, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით და მოყვანილი იქნება რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება. გროვდება და ანალიზდება კვლევის მასალები, ხოლო შედეგები გამოიყენება პროგრამებში ცვლილებების გასახორციელებლად. პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი მეთოდებით. შეფასების შედეგები დინამიურად აისახება პროგრამებში. კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ

მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად. რაოდენობრივი ანალიზის საგანს უნივერსიტეტში წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების (ქულების) და დასაქმების მაჩვენებლები. ტენდენციების გამოკვეთის, გაანალიზებისა და დასკვენის საფუძველზე ხოციელდება მიზეზების დადგენა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების ჩამოყალიბება. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას ყავს მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული, რომელთან დაკავშირებაც ვერ მოხერხდა, უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა უშალოდ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, თუმცა განხორციელების შემთხვევაში გავრცელდება ზემოაღნიშნული წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შიდა ხარიხსის მექანიზემბის ამსახველი დოკუმენტები; ○ თვითშეფასება ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ელენე კიკალიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა